ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

განკარგულება:**g-13.13220565**
თარიღი:**25/02/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზის

შექმნის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 85-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული დანართის (რეგლამენტი) 121 -ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

1. შეიქმნას ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საკონსულტაციო ორგანო- საზოგადოებრივი დარბაზი, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირების და საზოგადოების წარმომადგენლებისაგან.

2. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაცია განხორციელდეს ამ განკარგულების გამოქვეყნების დღიდან. წევრთა რაოდენობა შეზღუდული არ არის.

3. საზოგადოებრივი დარბაზის წევრთა რეგისტრაცია უზრუნველყოს საკრებულოს აპარატმა.

4. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამეწარმეო თუ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის და საზოგადოების წარმომადგენლებს, ამ განკარგულების გამოქვეყნების შემდეგ, ნებისმიერ დროს აქვს უფლება მიმართოს საკრებულოს აპარატს, საზოგადოებრივი დარბაზის წევრად რეგისტრაციის შესახებ.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ᵃ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი